პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

ქალაქი ბათუმი ____ ოქტომბერი, 2024 წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 06 სექტემბრის N5/51443 წერილის საფუძველზე,

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, დიმიტრი სვიშევსკის ქუჩა N1გ-ში არსებული 1831,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. 05.30.10.380).

2. ეთხოვოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრებაში რეგისტრაცია.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **ირაკლი თავდგირიძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2024 წლის 06 სექტემბერს შემოსულია სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს N5/51443 წერილი, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ სააგენტოში წარდგენილ კორესპონდენციასთან დაკავშირებით (#MRDI-RD N 2-08/13212, 04.09.2024წ.), რომლითაც მოთხოვნილი იყო #MRDI-RD N2-08/13212 ქ. ბათუმში, დიმიტრი სვიშევსკის ქუჩა N1გ-ში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და შპს ,,სანდასუფთავება“-ს (მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ორგანიზაცია) სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ N05.30.10.362) დაყოფა და ნაწილის 1831,0 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით (მასზე გვირაბის სამართავის ოფისის მოსაწყობად).

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს N5/51443 მომართვიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელა რიგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები, კერძოდ: - 2024 წლის 11 სექტემბერს N14-1424255219 კორესპონდენციით მიმართა შპს ,,სანდასუფთავება“-ს და მოსთხოვა მოსაზრება/თანხმობა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.30.10.362) დაყოფისა და ნაწილის 1831,0 კვ.მ უნაკლო მდომარეობაში სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე, 2024 წლის 13 სექტემბერს შპს ,,სანდასუფთავება“-მ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში გადმოაგზავნა N05.30.10.362 საკადასტრო კოდით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და შპს ,,სანდასუფთასვება“-ს სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის დაყოფასა და ნაწილზე - 1831,0 კვ.მ შპს ,,სანდასუფავება“-ს სარგებლობის (უზუფრუქტის) უფლების შეწყვეტის თაობაზე თანხმობის წერილი (N16-1424257417).

ამასთან, მუნიციპალიტეტის მიერ საჯარო რეესტრში წარდგენილი განცხადების (განცხადების რეგისტრაციის #892024503027, 30.09.2024წ) შესაბამისად განხორციელდა ქ. ბათუმში, დიმიტრი სვიშევსკის ქუჩა N1გ-ში მდებარე, 14408,0კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.30.10.362) დაყოფა ორ საკადასტრო ერთეულად: 1831,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთად (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი #05.30.10.380) და 125770,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთად (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი #05.30.10.379). ასევე, 2024 წლის 16 ოქტომბერს საჯარო რეესტრში წარდგენილი N892024601825 განაცხადის თანახმად, N05.30.10.380 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გაუქმდა უზუფრუქტის უფლების ჩანაწერი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, დიმიტრი სვიშევსკის ქუჩა N1გ-ში მდებარე 1831,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.30.10.380) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემა, მისი შემდგომში საქართველოს საავტომობილო გზების დეპატრამენტისათვის უვადო სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმში, დიმიტრი სვიშევსკის ქუჩა N1გ-ში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 1831,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის

ნაკვეთის (ს.კ. 05.30.10.380) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა, მისი შემდგომში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის უვადო სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**